

## ვახტანგ მალრაძე

### ნასესხები შესიტყვება-კომპოზიტები მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“

თანამედროვე ქართულში კომპოზიტების წერის ერთიანი სისტემა არ არის დაცული. განსაკუთრებით ეს ეხება უცხოური კომპოზიტების ან შესიტყვებების გადმოცემას. მათი დაწერილობისას სამი ვარიანტია გამოყენებული: კომპოზიტი იწერება ცალ-ცალკე, დეფისით ან ერთად. ყოველი ორგანო თუ კერძო პირი საკუთარი შეხედულებით ხელმძღვანელობს. ზოგჯერ ერთსა და იმავე ავტორთან თუ ერთსა და იმავე ბეჭდვით ორგანოში ერთი და იგივე კომპოზიტი სხადასხვაგვარადაა გაფორმებული.

მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ ნასესხები შესიტყვება-კომპოზიტების დაწერილობის ხუთი ტიპი გამოიყოფა:

1. კომპოზიტი ერთიანი დაწერილობითაა წარმოდგენილი როგორც მასესხებელ ენაში, ასევე ქართულში;

2. უცხო ენაში კომპოზიტი დეფისითაა გაფორმებული, ქართულში – დეფისის გარეშე (ერთად);

3. შესიტყვება უცხო ენაში ცალ-ცალკე დაწერილობითაა წარმოდგენილი, ქართულში გაერთიანებულია ერთ სიტყვად;

4. შესიტყვება უცხო ენაში ცალ-ცალკე დაწერილობითაა წარმოდგენილი, ხოლო ქართულში დეფისიანი ვარიანტი გვაქვს;

5. კომპოზიტი ორსავე ენაში დეფისით იწერება.

1. კომპოზიტები ერთიანი დაწერილობითაა წარმოდგენილი როგორც მასესხებელ ენაში, ასევე ქართულში:

**აუტობანი/ავტობანი – autobahn** (გერმ.) – ავტობანი, ავტოსტრადა;

**აუტრიჯერი – outrigger** (ინგლ.) – ნიჩბიანი ერთგვარი ნავი;

**აუტსაიდო – outside** (ინგლ.) – გარემაზრი;

**აუტსაიდერი – outsider** (ინგლ.) – ბოლო ადგილზე მყოფი;

**ბლიცკრიგი – blitzkrieg** (გერმ.) – გერმანიის დაპყრობითი ომის წარმოების თეორია;

**ბლიცტურნირი** – **blitzturnier** (გერმ.) – ელვისებური ტურნირი;  
**ბლოკჰაუზი** – **blockhaus** (გერმ.) – თავდაცვითი ნაგებობა;  
**კონტრაბანდა** – **kontrabando** (იტალ.) – საქონლის ფარულად გადატანა სახელმწიფო საზღვარზე; თვით ეს ტვირთი;

**კონტრამარკა** – **contremarque** (ფრანგ.) – ბილეთის მაგიერი ბარათი;

**კონტრაპუნქტი** – **kontrapunkt** (გერმ.) – მუსიკის თეორიის ნაწილი;

**კონტრაჰენტი** – **contrahens** (ლათ.) – ხელშეკრულება რაიმე ვალდებულების მქონე პირი;

**პაკჰაუზი** – **packhaus** (გერმ.) – მცირე ხნით ტვირთის შესანახი;

**პოსტპაკეტი** – **postpaket** (გერმ.) – წერილების შეკვრა.

ზემოთ წარმოდგენილი ყველა კომპოზიტი იმეორებს მასეს-ხებელი ენის დაწერილობას, ამავდროულად დაცულია ქართული ენის ორთოგრაფიის პრინციპი: ერთცნებიანი (ერთმნიშვნელობიანი) კომპოზიტები ერთად იწერება. აღსანიშნავია, რომ ამგვარადვეა გაფორმებული დასახელებული კომპოზიტები რუსულშიც.

2. კომპოზიტები უცხოურ ენაში დეფისითაა წარმოდგენილი, ხოლო ქართულში (ისევე, როგორც რუსულში) – ერთად (დეფისის გარეშე). ეს შემთხვევა ყველაზე მრავალრიცხოვანი ჩანს ქართულში:

**აბაჟური** – **абажур** – **abat-jour** (ფრანგ.) – შუქფარი;

**ავანსცენა** – **авансцена** – **avant-scène** (ფრანგ.) – სცენის ნაწილი ფარდის წინ;

**ბანკნოტი** – **банкноты** – **bank-note** (ინგლ.) – საბანკო ბილეთი;

**ბარელიეფი** – **барельеф** – **bas-relief** (ფრანგ.) – სკულპტურული გამოსახულება;

**ბელეტრისტიკა** – **беллетристика** – **belles-lettres** (ფრანგ.) – თხრობითი ლიტერატურა;

**ბლანმანჟე** – **бланманже** – **blanc-manger** (ფრანგ.) – ნაღების ჟელე;

**ბლოკნოტი** – **блокнот** – **bloc-notes** (ფრანგ.) – წიგნაკი ამოსახევი ფურცლებით;

**ბობსლეი** – **вовслей** – **bob-sleigh** (ინგლ.) – თოვლზე ან ყინულზე მარხილით შეჯიბრება;

**ბოისკაუტი** – **бойскаут** – **boy-scout** (ინგლ.) – ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი;

**გარდემარინი** – гардемари́н – **garde-morine** (ფრანგ.) – ფლოტში პრაქტიკანტი;

**გრეიპფრუტი** – грейпфрут – **grape-fruit** (ინგლ.) – ციტრუსოვანი ხეხილი;

**ველბოტი** – вельбот – **whale-boat** (ლათ.) – ნიჩბიან-იალქნიანი ნავი;

**იურისკონსულტი** – юри́сконсу́льт – **juris-consultus** (ლათ.) – იურისტ-კონსულტანტი;

**კონტრმანევრი** – контрманевр – **contre-manoeuvre** (ფრანგ.) – საპასუხო მანევრი;

**კროსვორდი** – кроссворд – **cross-word** (ინგლ.) – სიტყვების ამოსაცნობი გასართობი;

**ნოკაუტი** – нокаут – **knock-out** (ინგლ.) – კრივის ტერმინი;

**ნოკდაუნი** – но́кдаун – **knock-down** (ინგლ.) – კრივის ტერმინი;

**პიკაპი** – пикап – **pick-up** (ინგლ.) – ავტომობილი;

**პიჯაკი** – пиджак – **pea-jacket** (ინგლ.) – მამაკაცის კოსტიუმის ზედა ნაწილი;

**პორტსიგარი** – портсигар – **porte-cigares** (ფრანგ.) – სიგარეტის ან სიგარის ჩასაწყობი სატარებელი კოლოფი;

**პულოვერი** – пуловер – **pull-over** (ინგლ.) – უსახელო ჯემპრი;

**ტამტამი** – тамтам – **tam-tam** (ფრანგ.) – გონგის სახეობა, დოლის მაგვარი;

**ფოლკლორი** – фольклор – **folk-lore** (ინგლ.) – ხალხური შემოქმედება;

**ფოქსტერიერი** – фокстерьер – **fox-terrier** (ინგლ.) – მონადირე ძაღლი;

**შედევი** – шедевр – **chef-d'oeuvre** (ფრანგ.) – სანიმუშო ნაწარმოები...

ამ შემთხვევაშიც დაცულია ქართული მართლწერის პრინციპი (ერთგნებიანი კომპოზიტები ერთად იწერება). გამონაკლისია **ჟიკენდი** (ინგლ.), რომელიც ინგლისურშიც და რუსულშიც დეფისით იწერება, თუმცა ლექსიკონის შემდგენელს, ქართული ნორმების მიხედვით, ერთ სიტყვად აქვს წარმოდგენილი.

3. უცხო ენის შესიტყვება (რომელიც, ბუნებრივია, ცალ-ცალკე იწერება) ქართულსა და რუსულში ერთიანი დაწერილობით არის გაფორმებული:

**აუტოდაფე** – **аутодафе** – **auto dafe** (პორტ.) – ერეტიკოსთა თხზულებათა საჯარო დაწვა;

**ბონვივანი** – **бонвиван** – **bon vivant** (ფრანგ.) – თავისი თავის პატივისცემის მოყვარული;

**ბოტფორტი** – **ботфорты** – **bottes fortes** (ფრანგ.) – ერთგვარი მაღალი ჩექმა;

**კაფეშანტანი** – **кафешантан** – **kafé chantant** (ფრანგ.) – „მომღერალი კაფე“;

**კონტრდანსი** – **контрданс** – **country dance** (ინგლ.) – ინგლისური ხალხური ცეკვა;

**ნუვორიში** – **нувориш** – **nouveau riche** (ფრანგ.) – სპეკულაციით გამდიდრებული ადამიანი;

**ოდეკოლონი** – **одеколон** – **eau de Cologne** (ფრანგ.) – სურნელოვანი ხსნარი;

**პოსტსკრიპტუმი** – **постскриптум** – **post scriptum** (ლათ.) – მიწერილი წერილის ბოლოს;

**ჟურფიქსი** – **журфикс** – **jour fixe** (ფრანგ.) – სტუმრების წინასწარ დაგეგმილი მიღების დრო;

**ტაბლდოტი** – **табльдот** – **table d'hôte** (ფრანგ.) – საერთო სუფრა...

უცხო ენაში ორ სიტყვად გაფორმებული გარკვეული ტიპის სიტყვათშეხამებანი ქართულში კომპოზიტებადაა გადმოტანილი.

4. ქართულში დეფისით არის წარმოდგენილი უცხოურ ენათა ერთი სახის შესიტყვებანი:

**ალმა-მატერი** – **альма-матер** – **alma mater** (ლათ.) – მაწოვარი დედა;

**დე-იურე** – **де-юре** – **de yure** (ლათ.) – ფორმალურად;

**დე-ფაქტო** – **де-факто** – **de facto** (ლათ.) – ფაქტობრივად, სინამდვილეში;

**კამერა-ობსკურა** – **камера-овскура** – **camera obscura** (ლათ.) – ბნელი ოთახი, ოპტიკური ხელსაწყო;

**კარტ-ბლანში** – **карт-бланш** – **carte blanche** (ფრანგ.) – განუსაზღვრელი რწმუნებულება;

**ლორდ-მერი** – **лорд-мер** – **Lord Mayor** (ინგლ.) – მერი (ქალაქის თავი);

**სტატუს-კვო** – **статус-кво** – **status quo** (ლათ.) – არსებული

მდგომარეობა;

**ტაიმ-ჩარტერი** – **тайм-чартер** – **time charter** (ინგლ.) – ხელშეკრულება სავაჭრო გემის იჯარის აღებაზე;

**ფორს-მაჟორი** – **форс-мажор** – **force majeure** (ფრანგ.) – ვითარების აცილების შეუძლებლობა...

ვფიქრობთ, ზემოთ დასახელებული კომპოზიტების ქართულ ვარიანტებში დეფისები უნდა მოიხსნას.

5. კომპოზიტები დეფისითაა წარმოდგენილი როგორც უცხო ენაში, ასევე – ქართულში:

**კამერ-პაჟი** – **kammer-page** (გერმ.) – პაჟი, რომელიც მორიგეობდა სამეფო კარზე;

**კამერ-ფრეილინა** – **kammer-fräulein** (გერმ.) – დიდებულთა ქალიშვილები სამეფო კარზე;

**კუ-კლუქს-კლანი** – **ku-klux-klan** (ინგლ.) – ფარული რასისტული ტერორისტული ორგანიზაცია

**ლუნა-პარკი** – **luna-park** (გერმ.) – პარკი, სადაც ეწყობა გასართობები;

**ნოუ-ჰაუ** – **know-how** (ინგლ.) – ტექნიკური ცოდნა;

**პენ-კლუბი** – **pen-club** (ინგლ.) – მწერალთა გაერთიანება;

**პინგ-პონგი** – **ping-pong** (ინგლ.) – მაგიდის ჩოგბურთი;

**პრეზიდენტ-ელექტი** – **president-elect** (ინგლ.) – აშშ-ის ახლადარჩეული პრეზიდენტი გარდამავალ პერიოდში;

**პრეს-ატაშე** – **press-attaché** (ფრანგ.) – დიპლომატიური წარმომადგენელი, თანამშრომელი;

**პრეს-ბიურო** – **press-bureau** (ინგლ.) – სარედაქციო აპარატი, რომელიც აწვდის მზა სტატიებს;

**პრეს-კონფერენცია** – **pres-conference** (ინგლ.) – სახელმწიფო, პოლიტიკურ მოღვაწეთა შეხვედრა; საუბარი პრესის წარმომადგენლებთან ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე;

**პრეს-პაპიე** – **press-papiers** (ფრანგ.) – საწერი მოწყობილობის ნაწილი;

**პრიმა-ბალერინა** – **prima-ballerina** (იტალ.) – ბალეტში მთავარი მოცეკვავე;

**სალტო-მორტალე** – **salto-mortale** (იტალ.) – აკრობატული ნახტომი;

**სპარინგ-მატჩი** – **sparring-match** (ინგლ.) – საწვრთნელი მატჩი;

**უოლ-სტრიტი** – **wall-street** (ინგლ.) – ქუჩა ნიუორკში;  
**ფრანს-პრესი** – **france-presse** (ფრანგ.) – საფრანგეთის საინფორ-  
მაციო სააგენტო...

**შერი-ბრენდი** – **cherry-brandy** (ინგლ.) – ალუბლის ლიქიორი;  
**ჰავ-ვოლეი** – **half-volley** (ინგლ.) – ძირს შეხებულ ბურთის  
დარტყმა...

დასახელებულ კომპოზიტთა დიდი ნაწილი თანამედროვე  
ქართულში უკვე ერთად იწერება (სამართლიანად).

### ლიტერატურა

**ნორმ., 1970** – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის  
ნორმები, პირველი წიგნი, თბილისი.

**Слов., 1988** – უცხო სიტყვათა ლექსიკონი – Словарь ино-  
странных слов, Москва.

**ჭაბაშვილი 1986** – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი,  
თბილისი.

Vakhtang Maghradze

### **Borrowed Syntagm-Compounds in Dictionary of Foreign Words by M. Chabashvili**

#### Summary

The paper analyzes foreign syntagm-compounds in *Dictionary of Foreign Words* compiled by M. Chabashvili the spelling of which can be distinguished as follows:

1. A compound is written as a whole in a foreign language as well as in Georgian;

2. A compound is written with a hyphen in a foreign language while in Georgian it is represented as a whole.
3. A syntagm is written as two separate parts in a foreign language and in Georgian it is an integral.
4. A syntagm is written as two separate parts in a foreign language while in Georgian it is written with a hyphen;
5. A compound is written with a hyphen in both languages.